№ 267 პარასკევი, 21 ივნისი 1918 წ. № 29

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 1 ფეტიტი ტიპის 50 კაპ., შემდგომ გვერდებზე—30 კაპ., ვულგარული გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი ფეტიტ ტექსტის წინ—1 მ., შემდ—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ტიპის 10 მანეთ., 20×2 ტიპის 15 მან., 3 სიტყვის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. ბაგრატიონ-მუხრანელის ქუჩა, სახლი № 14 და ყიდულობს ორი მანეთი შეტი.
ყველა განცხადება ეკუთვნის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და ფულის გადახდა განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 სათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაბეჭდება, დაბეჭდილი მცირე წერილები და კორესპონდენციები უფლ. არ ინახება: ინახება ერთის თვის ფარგლებში, ფასიანი ... [illegible] ... მოიხსნებიან.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახალხო ქ., ხარაგიშვილის ს. № 8.
ფოსტის მეშვეობით წერილებისა და ფულისთვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", ящ. 190.
ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.
ტელეფონი 12-29

სტამბოლის კონფერენციაზე გაემგზავრნენ ადერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის დელეგატები — საქართველოსათვის ხაზი 600 ფუთი ფქვილი კავკასიის გზაზე დააკავეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. — დაიწყო საინტენდანტოს საწყობი: რამდენიმე მილიონად ღირებული ქონება დაიღუპა. — სომხეთის ეროვნულმა საბჭომ ვეჩიბ-ფაშას სთხოვა ასალქალაქის ლტოლვილები თავის ადგილებზე დაუბრუნებინა. — დღეს დანიშნულია საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის უთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია და საოლქო კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ნაცნობ მეგობრებს მხეცურად მოკლულს

ვლადიმერ პავლესძე გობეჩიას

გარდაცვალებას. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1199

საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია და პარტიის საოლქო კომიტეტი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობრებს ვერაგულად მოკლულ ძვირფასი ამხანაგის

ვლადიმერ გობეჩიას

დაკრძალვას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1199-2

გულდათუთქული დედა გარბალე, ძმები იოსებ და ივანე გობეჩიები, დები ნინო ჩხეიძისა და მარიამ საალონიკაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრ-ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი

ვლადიმერ გობეჩიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქალი თამარა და სიძე კონსტანტინე წერეთლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ივნისის 22 სოფელ მცხეთაში დედათა მონასტრის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელისაბედ ივანეს ასული ბერიძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე.

დიდი ეფემია ივანეს ასული და ნინო სარდიონის ასული ციციშვილები, ბარბალე სარდიონის ასული კოტეტაშვილი ქმრით და შვილებით, მარიამ სარდიონის ასული წიკლაური ქმრით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 19 თებერვალს ხან მოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა

ანნა |ანეტა| სარდ ონის ასული ციციშვილი.

პანაშვიდი ყოველ დღე დილით 12 საათზე და საღამოს 7 ს. გამოსვენება შაბათს 22 თებერვალს ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. ბინა ვედზინის ქ. № 3. მთაწმიდაში.

დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

ბოლოს ... ბრ., მუშტ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასჯის საქმეში ჩვენი მთავრობა ძალიან ლმობიერად ითვლება. მთავრობა ვალდებულია ამისთანა ვაჟ-ბატონებს მოსთხოვოს, ან დაემორჩილნენ საქართველოს, იცნონ მათი დამოუკიდებლობა, ან დაუყოვნებლივ დასტოვონ საქართველოს ტერიტორია. საქართველოს დედა-ქალაქში მოქმედებენ ისეთი პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით მხოლოდ ოსმალეთის ოკუპაციას უმზადებენ ნიადაგს, რომლებიც უკვე რუსეთის აშენებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ მხოლოდ საქართველოს დაღუპვაზე,—ასეთი ვაჟ-ბატონების მოქმედება სახელმწიფოს ღალატია და მთავრობამაც უნდა დასაჯოს ისინი, როგორც მოღალატენი და გამყიდველები.

არ. ჯაჯანაშვილი.

ჩუსხს ტერიტორია

ბეყოი ქართველი ჰკიცრობს: ჩეენი ტერიტორია ძლიერ შეეიწროებულია, სახელმწიფო პაწაწკინტელა გვეძლება და ყველა ჩვენ დაგვჩაგრავსო. ეაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ამ გარემოეაას ჩვენი ბტრები ეიაქცევენ და ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკვირიან: როგორ შეიძლება ამისთანა პატარა სახელმწიფომ იარსებოსო.

ჩვენ გვინდა დავანახვოთ მკითხველებს, რომ საქართველოს ტერიტორია, თუნდ ისე შეკვეცილი, რასაირიც ეხლა გვაქვს—ბეგრს პატარა სახელმწიფოზე დიდია. თუ ახედველობაში მივიღებთ სიმდიდრეს, ზღვის გზას და სხვ. უნდა

შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ დღეს ერთა გამოჯვნის საქმე სულ სხვა საფუძველზეა აგებული, სწორედ იმ საფუძველზე, რასაც ამას წინად ჰქადაგებდნენ ყველასაგან ცნობილი ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი და მათი ამხანაგებიო. და თუ ისინი დღეს იმპერიალისტურ, დაპყრობით ლოზუნგებს აყენებენ, ეს მეტისმეტად სამწუხაროა და დასაგმობია.

„მაშასადამე, ის, რასაც დღევანდლამდე ჰქადაგებდნენ ეს ქართველთ მეგალადები, მათი გულისნადები კი არ ყოფილა, არამედ პირმზდე, უშვერი ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის დასაფარავი ტაქტიკა.

ისტორიული საფუძველიც არაფერი მოსატანია, რადგანაც ლორე, ფამბაკი და ბორჩალო სომხების ისტორიული მიწაწყალი იყო, დიდი ხნის განმავლობაში სომხეთის სამეფოს ნაწილს შეადგენდა და სომხურმა კულტურამ მანდ შესამჩნევი გოდოლები და კვალი დასტოვა. მოვიგონოთ თუნდაც დღესაც ამართული სანაჰინ-ჰალბატის მონასტერი, სანაჰინის ქემარანი („აკადემია"), დიდებული ნიდი, სამეფო სასაფლაოები, სომეხ მეცნიერ ვარდაპეტების აკლდამები. მაგრამ ყველა ამაზე კარგი საფუძველია თვით სომხის ერი, რომელიც დღემდისაც ამ მიდამოებში სახლობს".

ბოლოს გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ „ქართველთა გონივრული და ნამდვილად დემოკრატიული წრეები დაუბრუნდება მათი მთავრობის შეცდომას და შეეცდებიან სომხებთან ერთად შეთანხმებით გადაჭრან გამოჯვნის საქმე".

—

„ბორიზონი":

„ქართველ მენშევიკებს ერთი ყველას მიერ ცნობილი ჩვეულება აქვთ, რომელიც მათ მოქმედებას ახასიათებდა დღემდის. როცა დემოკრატიული იდეების თვალით დასაგმობ საქმეს ჩადიან, ისინი მაშინვე საშინელ განგაშს ასტეხენ ხოლმე და იწყებენ ამა თუ იმ პარტიებთან ბრძოლას, და მას ახვევენ ხოლმე თავის ცოდვას და საზოგადოების ყურადღებას თავიდან იშორებენ. მაგრე იყო, როცა მენშევიკების მონაწილეობით შამქორის ბოროტმოქმედება მოხდა, სადაც ათასზე მეტი ალალმართალი რუსი სალდათი გაწყდა. საზოგადოებრივმა აზრმა, მენშევიკების ჩაგონებით ბრალი მუსავათს დასდო, ჟორდანია, რამიშვილი და ამხანაგები კი სასამართლოს გადაურჩა".

ასევე იყოვო მუდამ, რევოლიუციის დაწყებიდან დღემდის. ისინი სულ დაშნაკცუთიუნსა და მუსავათს უკიჟინებდნენ ნაციონალისტობასა და შოვინისტობას და ნამდვილად თვითონ იყვნენ შოვინისტებიო. დღესაც აგრევე იქცევიანო. მათ ტყუილიც მოიგონეს: სომხებმა და თათრებმა ბათომში ოსმალოებთან მოლაპარაკება გამართეს ამიერკავკასიის გადამჯვნის შესახებაო და თვითონ კი ოსმალოებსაც შეატყობინეს: საქართველოს საზღვრები ყარაქილისამდის უწევსო და სხვა.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„მართალია მენშევიკებს მოქმედებაში დღეს ახალი რამეც არის. ისინი უკვე აღარ დაგიდევენ მაინცა და მაინც დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას, ალბად იმიტომ, რომ კარგად ესმით, რომ სულერთია, ამას იქით აღარავინ დაუჯერებს მათ. ისინი უკვე ყოველ საგანს თავის სახელს არქმევენ და დემოკრატიული ფორმულების ძებნით თავს არ იტკივებენ. არც იმის ეშინიანთ, რომ გუშინ რომ ამბობდნენ, **დღეს იმის** წინააღმდეგ ქადაგებენ. გუშინ ჰგმობდნენ გერმანიის იმპერიალიზმს და გუნდრუკს უკმევდნენ რუსეთის დემოკრატიას, ხოლო დღეს „ურწმუნო თომებიც დარწმუნდებიან, რომ დღეის შემდგომ რუსეთთან ნებსით თუ უნებლიეთ შეერთება შეუძლებელია" („ერთობა"); გუშინ ამიერკავკასიის გამოჯვნის დროს ხელმძღვანელობდნენ „რეალური მოსახლეობის" პრინციპით და უარყოფდნენ ისტორიულ პრინციპს, რასაც ეროვნულ-დემოკრატები იცავდნენ, ხოლო დღეს „თუ მხოლოდ რეალური მოსახლეობის პრინციპს მივიღებთ, მაშინ ჩვენი დედაქალაქი ტფილისი ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებთან მოექცევა და მისი დაცვის საქმე მუდამ საფრთხეში იქნება". („ერთობა", № 121) და, მაშასადამე, დაიღუპოს „რეალური მოსახლეობის" პრინციპი, გაუმარჯოს ნაციონალ-დემოკრატების ლოზუნგსო! და, მაშასადამე, საქართველოს უნდა შემოუერთოთ ზაქათალაც, ყაზახიც, ბორჩალოც, ლორეც, ალექსანდროპოლის ნაწილიც. და, რასაკვირველია, ეს იმპერიალიზმი კი არა, შოვინიზმი კი არა, ეს წმინდა წყლის მენშევიზმია...

ჯერ სამოდე დღეა, რაც რომ მენშევიკებმა თავისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოაცხადეს და უკვე შეჰყრიათ ყველა ის მანია, რითაც შეპყრობილნი არიან ბურჟუაზიულ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ისინი ძირსწრფიან დიდი საქართველო შექმნან, და ამის გულისათვის ისინი ყოველგვარ სიწმინდეს ფეხით სთელავენ. დიდი საქართველოსათვის კი საშტოა ფინანსებიც, სტრატეგია; ამისთვის ისინი აპირებენ ძალით დაიპყრან სხვისი მიწა-წყალიცა და სხვა ერებიც, რათა გამრავლდეს მოხარკეთა და მეომართა რიცხვი საქართველოში. „მაგრამ რას უზამს ეს მეზობლებს, ავნებს თუ არა მათ ფინანსებსა და სტრატეგიას, ამისთვის მათ არა სცხელათ".

მათი მოქმედება არაფრით არ განსხვავდება იმპერიალისტ სახელმწიფოებისაგან, რომელნიც აგერ ოთხი წელია, დაპყრობითი ომს აწარმოებენო.

„უნდა აღვიაროთ, რომ ჟორდანიაწერეთლის პარტია დღემდის საღცხოვოდ აწარმოებდა „ღმისავლეთელი დიპლომატების ორპირსა და ცბიერ პოლიტიკას. მხოლოდ ახლა პირბადე ჩამოხეულია და ყველა, ვინც კი ბრმა არ არის, დაინახავს, თუ რა ზნეობის პატრონ ხალხთან აქვთ საქმე. სომხისა და თათრის დემოკრატიას არ შეუძლია ამას იქით დაიჯეროს, პალატის თეთრ დარბაზიდან ცბიერი და ფარისევლური სიტყვები გასმის, განსაკუთრებით სომხის დემოკრატიას არ შეუძლია ხელი გაუწოდოს იმ მოღალატე ხალხს, რომელთაც ჰსურთ თავისი კეთილდღეობა სომხეთის ნანგრევებზე ააგონ".

—

„აშხატავორი":

„დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მსოფლიო დემოკრატიაში სახელგანთქმული წერეთელი, ჩხეიძე და მათი დაჰქაში ჩხენკელი სახელმწიფო სათათბიროსა, მოსკოვში შეკრებილ დემოკრატიულ წარმომადგენელთა სობჭოსა და შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის ტრიბუნიდან ყელებს იხეთქნენ და ახურვალე ტაშის გრიალში ხალხალლა გაიძახდნენ: да здравствуетъ миръ безъ аннексій и контрибуцій, да здравствуетъ самоопредѣленіе народовъ!

დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ ასე გგონია, ეგ ძალიან ძველი სიმღერაა, დავიწყებული სიმღერა ანუ ოცნება, ან კიდევ გგონია, ეგ სხვა წერეთელი, ჩხეიძე და ჩხენკელი იყო, რომელნიც სოციალიზმის ცხოველი იდეით გამსჭვალულნი, მთელი მსოფლიოს ინტერესებით გატაცებულნი, ყველა ერის მშრომელი ხალხის გათელილ უფლებათა და ჩაგრულთა ქომაგობით აღფრთოვანებულნი, დღესაც თავის წიდა საქმეს განაგრძობენ, ჯერაც საერთაშორისო დემოკრატიის პირველადნილი შვილებია და მისი ახურვალე დამცველები. ხოლო დღეს რომ საქართველოში წერეთელ-ჩხეიძე-ჩხენკელის სამებაა, ეს ისინი არ არიან, ისინი ხომ ქვეყნად განთქმულ პირებია; სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის დემოკრატიის ინტერესების დაცვისათვის გაძღვებული წერეთელი ის არ არის, დღეს რომ საქართველოში წერეთელად უხმობენ; რუსეთის დიდი რევოლიუციის მესაფე ჩხეიძე დღევანდელი „დამოუკიდებელი" საქართველოს ტონის მიმცემი სახელგაფუჭებული ჩხეიძე არ არის, ისინი სხვები იყვნენ. ესენი კი საქართველოს ნამდვილი შვილებია, დღევანდელი მონარქიის მოტრფიალე საქართველოს სამი მყარი სვეტი, რომლებზედაც უნდა გაიფურჩქნოს და გაიშალოს „დამოუკიდებელი" საქართველო, უნდა გადააწვდინოს თავისი ძლიერი ფრთები კავკასიონის ქედიდან სპარსეთის კალთამდის, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. დიახ, ის წერეთელი და ჩხეიძე ესენი არ არიან: ისინი საერთაშორისო დემოკრატიის მეტრფიალენი იყვნენ, ესენი კი გერმანელების მოტრფიალე და ქვეყნის დამპყრობელნი; ისინი დიდი კაცები იყვნენ, ესენი კი „კაცუნებია" და სხ.

შემდეგ რამდენჯერაც „დამოუკიდებელ" სიტყვას ხმარობს იმდენჯერ მას ბრჭყალებში ჰსვამს. ქვემოდ განაგრძობს:

„რაღა თქმა უნდა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ (ყურსივი ყველგან „აშხატავორისაა") ყოველგვარი უდღეური დამოუკიდებლობისა, ხომ ხეთიხა იქმნება იგი, საქართველოსი თუ ადერბეიჯანისა. მაგრამ კიდევ უფრო წინააღმდეგნი ვართ, რაც ეგ ჰაერში ჩამოკიდებული დამოუკიდებლობა, ჯერ ფესვი არ გაუდგამს, სახელმწიფოებრივობას ელფერი არ მიუღია და თავის თანამოძმე მშრომელ ხალხს ლუკმასა ჰგლეჯს, თავ-პირს ამტვრევს და თანაც გათომისათვის ოსმალოებს პროტესტს უცხადებს: Мы требуемъ мира безъ аннексій-о."

—

ქართველ მენშევიკებზე იერიში მოაქვთ საპროფესიო კავშირებშიაც. იმავ „აშხატავორში" ვკითხულობთ:

„ტფილისში არსებობს ოცდაათამდე საპროფესიო კავშირი და სადაც უნდა შეხვიდეთ, ცოტა-ოდენის გამოკლებით, ყველგან ნაცავთ რომ ქართულ მენშევიზმს თავისი ეროვნული დალი დაუსვამთ ამ კავშირებზე. ყველგან ცდილობენ თავისი კაცი წამოასკუპონ".

საპროფესიო კავშირთა საბჭოებშიაც ქართველი მენშევიკ ნაციონალისტები ბატონობენ, რომელთაც ინტერნაციონალურ მუშებთან არაფერი საერთო არა აქვთო.

„ბაგრიძეებისა და ხელაძეების მეთაურობით მომქმედი კავშირები ერთ დროშის ქვეშ ორგანიზაციულად ვერ შეაერთებენ ყველა მუშებს, განურჩევლად ეროვნებისა და პოლიტიკური რწმენისა, ვერ გააღრმავებენ საპროფესიო მუშათა მოძრაობას. დროა ასპარეზი გავწმიდოთ ეროვნული ეგოიზმით შეპყრობილ ავანტიურისტებისაგან.

უკრაინა და საქართველო

ამ სათაურით მე დავისახე მიზნათ გავაცნო ქართველ საზოგადოებას უკრაინის მდგომარეობა და გაუზიარო ის შთაბეჭდილება, როგორიც მოახდინა ჩვენზე, ჩამოსულებზე აწ დაპოკიდებელმა საქართველომ.

მოგეხსენებათ, რომ უკრაინაში, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში ედგა ეგრედწოდებული ცენტრალური რადა, პროფესორ გრუშევკის ხელმძღვანელობით. ეს რადა არავითარ ღონეს არა ზოგავდა, რომ თავის ხალხში ეროვნული გრძნობა გაღვიძებინა. რუსეთის ბატონობამ 300 წლის განმავლობაში იმდენად გახრწნა და დაალჩაგა უკრაინის ერი, რომ დღეს უკრაინელები ეროვნულ ვინაობის ძიებაში არიან და ჯერაც ვერ შეუგნიათ, რომ იგინი უკრაინელი არიან და არა ველიკოროსები—რუსები. სამასი წლის განმავლობაში რუსეთის „მოღვაწეები" გამარუსებულ პოლიტიკას აწარმოებდნენ და ამისათვის არაკითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. მართალადაც რუსეთის „პოლიტიკოსებმა" თავისი მიზანი ჩინებულად შეასრულეს, ე. ი. უკრაინელებს ელემენტალური ეროვნული შეგნება მოუპეს და მოუშხამეს. მაგრამ ისტორიიდან ვიცით, რომ საშინელ იმპერიალისტურ პოლიტიკის შემდეგაც კი, დაპყრობილ ქვეყანაში, ერის ერთი, თუმცა მცირე ნაწილი, არა კვდება და ხშირად იგი ხდება მიზეზად ერის განკურნებისა და გაცოცხლებისა. კოალიციურმა რადამ გამოაცოცხლა და აამოძრავა სულთმობრძავი თავისი მშობელი ერი და ასე თუ ისე ეროვნული თვითშეგნება შეიტანა მასაში ხალხში.

თან და თან ნორჩ რესპუბლიკას ძალიან უძნელდებოდა არსებობა, რადგანაც ერთის ხრივ უკრაინელები ეროვნულ თავისუფლებისათვის მოუმზადებლები იყვნენ, მეორეს მხრივ სახელმწიფოებრივ აპარატის მომზყობნი სუსტი აღმოჩნდნენ. ყველა ამას დაერთო კონტრ-რევოლიუციონერების გამოსვლა. ეს მოხდა ოქტომბრის პირველ რიცხვებში. რუსის იუნკრები და აფიცრები დაირაზმნენ და ცენტრალურ რადის წინააღმდეგ იარაღით გამოლაშქრნენ. მათ სურდათ უკრაინაში ეროვნული მოძრაობა ძირშივე ჩაეკლათ და მით „მთლიანი" რუსეთი შეენარჩუნებინათ. რადამ თავისი სამხედრო ძალებით ამბოხება მოსპო და საჩქარცთ ეს წმინდა წყლის კონტრ-რევოლიუციონერები რუსეთში გადაასახლა იუნკრების წინააღმდეგ იბრძოდნენ აგრედვე ადგილობრივი „ბოლშევიკები" უკრაინის მოუმზადებელ ჯართან ერთად. ეს ამბოხება მეორეს მხრივ იყო თითქოს პასუხი „ბოლშევიკების" გამოსვლაზე მოსკოვ-პეტროგრადში.

ლენინის დეკრეტმა ერთა თვითგამორკვევაზე დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია მთელ უკრაინაში და ჩვენც, ქართველები დიდის სიხარულით შევხვდით. ამის შემდეგ უკრაინის მართებლობა უფრო თავისუფლად და თამამად შეუდგა სახელმწიფოს შექმნა-შეკეთებას. პირველი ნაბიჯი მათ მიერ გადადგმული სახელმწიფოებრივ მაშტაბით იყო ფედერატიულ-რესპუბლიკის გამოცხადება. ამ აქტის გამოცხადებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. პირველად უნივერსალი უკრაინის ავტონომიის შესახებ წაკითხული იქმნა რესპუბლიკის პარლამენტში. მთელი დიდი დარბაზი ფეხზე ადგომით უსმენდა უნივერსალის კითხვას. გათავებისას იგრიალა „ვაშა" მ და მთელ დარბაზში გაისმა უკრაინული ჰიმნი „ще не вмерла украіна". ზეიმს საზღვარი არა ჰქონდა. ქართველ სოც.-ფედ. სახელით მშვენიერი და შინაარსიანი სიტყვით მიმართა ი. ბარათაშვილმა, რომელსაც დარბაზში ოვაციები გაუმართეს. მეორე დღეს უნივერსალი დიდის ამბით სოფიის მოედანზე წაიკითხეს. ქუჩებში, მოედანზე და საზოგადო დაწესებულებებში გუგუნებდა „ვაშა" და უკრაინული, ეროვნული ჰიმნი. მუსიკის ხმები დიდხანს არა სწყდებოდა. მესამე ღამეს მთელი ქართველობის სახელით მოკლე სიტყვით მიმართა ამ სტრიქონების დამწერმა და პრ. გრუშევსკის გადაეცა რეზოლიუცია მომენტის შესახებ. დარბაზი ტაშისცემით შეხვდა.

ადგილობრივი პრესა ამ დიად აქტს ცალმხრივად მიეგება; თუმცა უწინ მოყოლებული მემარჯვენე რუსულ გაზ. „კიევლიანინ" იდან და გათავებული „სოციალისტურ" ორგანოთი „კ. მ." უკრაინის თავისუფლების წინააღმდეგ აგდილათ ილაშქრებდნენ. ხოლო უკრაინის ავტონომიის გამოცხადებამ მათ დავთრები აუშალა და იძულებული გაჰხადა შოვინისტური და ზოგჯერ პროვოკაციური ტენდენცია ასე თუ ისე უარეყოთ.

„ბოლშევიკებს" არ ესიამოვნათ ცენტრალურ რადის გამარჯვება. მათ დაინახეს, რომ უკრაინელები ასე ადვილად არ დაუთმობენ სახელმწიფოებრივ საქმეს და იძულებული იყვნენ ჩრდილოეთ „ბოლშევიკებისათვის" მიემართათ; თითონ კი თავისი სამოქმედო ასპარეზად პირველად უკრაინის ტერიტორიის პერიფერიები აირჩიეს. არც შესცდნენ. პოლკ. მურავიოვის მეთაურობით წამოესივნენ უკრაინას და მალე აიღეს ქ. ხარკოვი. ისტორიისათვის აღსანიშნავია, რომ რადას არა ჰყავდა მოამზადებული, რეგულიარული და საკმაო სახხედრო ძალა და ამიტომაც „ბოლშევიკები" თამამად წინ მოიწეოდნენ. ქ. ხარკოვში „ბოლშევიკებმა" შეაგროვეს ძალა, შეისვენეს და ქ. კიევისაკენ გამოემგზავრნენ. უკრაინელები უხვდებოდნენ ყოველ სადგურზე და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მრავალი ერთგული უკრაინის შვილი ამ ბრძოლაში დაიხოცა.

ის დღეები იყო რადისათვის გადამწყვეტი. იგი განუწყვეტლივ დღე და ღამ თათბირობდა და გამოსავალი გზა ვერა ჰპოვა.

სოც.-რევ. ბრალსა სდებდნენ რადას იმაში, რომ სოციალიზაცია მიწისა დროზე არ მიიღეს და მოითხოვდნენ საჩქაროთ კაბინეთის შეცვლასა. მინისტრმა პოროშმა (ს.-დ.) თავის მხრივ სოც.-რევ. ბრალდება წამოუყენა და მოითხოვა ზოგი-ერთ წევრების სასამართლოში მიცემა. პოროშმა შემთხვევით გაიგო, რომ სოც.-რევოლ. სახალხო კომისარებთან საიდუმლო მოლაპარაკება „გამართეს. პეტროგრადიდან ჰპირდებოდნენ სოც.-რევ. კარგ ადგილებს სამინისტროში თუ კი ცენტრალური რადა დაეხმობოდა. მაგრამ დეტალურ გამოძიებისათვის რადას არა ჰქონდა სრულიათ დრო. იგი წავიდა ერთგვარ კომპრომისზე და ახალი სამინისტრო შეადგინა გოლუბოვიჩის (ს. რ.) მეთაურობით. ახალმა კაბინეთმა მეორე დღესვე გამოსცა კანონი მიწის სოციალიზაციისა და მნიშვნელოვანი აქტი უკრაინის დამოუკიდებლობის. მაგრამ არავითარმა ცვლილებამ და კანონებმა ვეღარ უშველა ცენტრალურ რადას. უკრაინის დამოუკიდებლობამ ძალიან დაიგვიანა. „ბოლშევიკები" უკვე ამ დროს ქ. კიევს სამ მხრიდან შემოერტყნენ და ზარბაზნები, სამი და ექვს დიუმიანი, უმალ დაუშინეს. მთელი 10—12 დღის განმავლობაში კიევის მცხოვრებლებს „ბოლშევიკები ყუმბარებით" უმასპინძლებოდნენ. თოფების და ტყვიისმფრქვეველების ჭახა-ჭუხი გაუწყვეტლივ ისმოდა. ტყვიის ხრიალი და წივილი ქალაქში ისე გაისმოდა როგორც ფუტკრების ბუზუნი. უმეტესნოთ გამოსროლილი ყუმბარები და შრაპნელები ქალაქის ყოველ კუთხეში სკდებოდა და დიდი ზარალიც მიაყენა. ვერც ერთი დიდი შენობა ზარბაზნის საშინელებას ვერ გადაურჩა. მშვიდობიანი მცხოვრებლები სარდაფეფში ბინადნენ და დღე-და ღამეს იქ ატარებდნენ, თითქმის არცერთი სავაჭრო დუქნები არ იღებოდა და ამიტომაც ღარიბი ნაწილი მცხოვრებლებისა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბნელ სარდაფებში მიმალულები სიმშილისაგან კვდებოდნენ. მთელ ქალაქს თითქოს მრისხანე **სიკვდილი** გადაეხვია და აქ იქ მცხოვრებლებს მუსრს ავლებდა. ეს დღეები იყო რადაც ჯადოსნური, ეშმაკური. მშვენიერი, უკრაინის დედა-ქალაქი, ლამაზი კიევი ქაჯების სარბიელად გარდაქცა. უკრაინის მოუმზადებელი ჯარი იბრძოდა...

რადა უკანასკნელ წუთამდე განაგრძობდა ნერვიულათ მუშაობას, მაგრამ და ბოლოს იძულებული გახდა ერთ საშინელ ღამეს ქალაქი დაეტოვებინა და გაქცეულიყო. იმავე ღამეს „ვილნი კაზაკეტვო" უკანასკნელად ებრძოდა შუაგულ ქალაქში „ბოლშევიკების" ჯარს და თან და თან სისხლით მორწყულ ქუჩებსა სტოვებდა. ეს იყო 12 იანვარს. გათენდა საშინელი ღამე და სამწუხაროდ გავიგეთ უკრაინელების დამარცხება.

იმ დღესვე „ბოლშევიკებმა" თავისი თავი ყველას გააცნეს. პირველი მათი „სტრატეგიული" მოსაზრება იყო აფიცრების ხლეტა; შემდეგ ლოზუნგად გამოაცხადეს „სიკვდილი ბურჟუებს, სიმშვიდე ქოხებს" და მოჰყვენ ხალხის ხოცვას განურჩევლად მის სოციალურ მდგომარეობისა. თვით უკრაინელებსაც შავი დღე მიაყენეს; ეროვნების განურჩევლად, ინტელიგენციას ანადგურებდნენ და ყოველ გვარ ეროვნულ ნიშნებს თოფით და ხეცური ბოქმედებით უმასპინძლდებოდნენ. მათ ყველგან ჩამოხსნეს მრავალად მოფენილი უკრაინის დროშები და მის მაგიერ წითელი დროშები გადმოჰკიდეს. უკრაინული ორგანიზაციები და უკრაინული პრესა მოსპეს და მის მაგიერ თავისი „ჯარის-კაცთა ცნობები" გამოუშვეს. სადაც კი უკრაინული ენა შემოღებული იყო გაუქმეს და რუსული, მოსკოვის ენა გამეფეს. ამიტომ მრავალი მუშა და ჯარის კაცი მათ სამუდამოდ ჩამოშორდა მახსოვს როგორ შემოვარდა ერთი „ბოლშევიკი" ჩვენ კომისარიატში და თავისი იდეური ამხანაგები შეაჩყენა, თუმცა კიევის ადგილებში თითონ იღებდა მონაწილეობას.

ორი-სამი დღის შემდეგ უკრაინელ „ბოლშევიკებს" და ჩრდილოელების შორის უკვე ჩამოვარდა საშინელი უთანხმობა. ადგილობრივმა „ბოლშევიკებმა" წინადადება მისცეს რუსების „ბოლშევიკებს" უკრაინის ტერიტორია დაეტოვებინათ, რადგანაც ცენტრალურ რადის დამარცხების შემდეგ ისინი აღარ ივნენ საჭირონი. აგრეთვე გაილაშქრნენ უკრაინის ეროვნულ დროშის მოხსნის წინააღმდეგ და თითონვე ხელახლად გამოჰფინეს. ჩვენ არავიცით ჯერ კიდევ რა მოხდებოდა იდეურ მეგობართა შორის, რომ უკრაინელები გერმანელ ჯართან ერთად არ გამობრუნებულიყვნენ. კიევში შემოსულ „ბოლშევიკებს" არავითარი ორგანიზაცია, არავითარი წესი, ამ სიტყვის პირდაპირის მნიშვნელობით, არა ჰქონდათ. ყოველივე ხდებოდა უსისტემოთ და მექანიურად. ამიტომ საკვირველი არარის, რომ იგინი არსად სასუფველი სტუმრები არ არიან,

„ბოლშევიკები" კარგადა გრძნობდნენ, რომ კიევში დიდხანს არ დარჩებოდნენ და ამიტომაც სცდილობდნენ ყოველ მხრივ ეხარგებლნათ თავიანთი ხანმოკლე ბატონობა. მრავალი მილიონი ნიკოლოზის ფული და ვერცხლი, სახელმწიფო ხაზინაში შენახული, გაიტაცეს. ქეიფი, სიმთვრალე, ძარცვა-გლეჯვა, სროლა და ცეცხლის წაკიდება ჩვეულებრივ მოვლენად გარდააქციეს. მთელ ქალაქს იარაღი ჩამოართვეს, ისე რომ ჯიბის დანაც კი არავის დაუტოვეს, და სამუდამოდ ჩაიბარეს კიდევ მრავალი „ღირსშესანიშნავი" ნაბიჯები გადასდგეს „ბოლშევიკებმა", მაგრამ აქ ყველას არ მოვიხსენებთ.

„ბოლშევიკების" შემოსვლის შემდეგ იწყება გართულებული და მრავალფეროვანი ცხოვრება ქართველ მოქალაქეთათვის,

იანვრის 8 ოდესიდან ჩამოვიდა უკრაინის სახხედრო კომისარ ლორთქიფანიძის თანაშემწე დ. ვაჩეიშვილი. სასწრაფოდ იყო დანიშნული საერთო ქართველების კრება, რომელსაც ვაჩეიშვილი დ. ეწერო. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ამოვირჩიეთ ქართულ კოლონიის აღმასრულებელი კომიტეტი, რომლიდანაც საბჭოდრო სექცია გამოვყავით. [illegible] ნიჭაციული [illegible] კომიტეტს [illegible] წყეთ. საბჭოდრო სექციაში [illegible] შვიდი კაცი. მათი მოვალეობა იყო დაგროვილ და გაფანტულ უკრაინის ფრონტზე ქართველ ჯარის კაცები ათვის თავი ძიებინა ქ. ხარკოვში და აქედან „ეშელონებით, ოტეტებით და პოლკებით, თან ხმად ეროვნულ საბჭოს წევრის განკარგულებისა, ტფილისში გამოეგზავნათ.

„ბოლშევიკების" შემოვლამდე, უკრაინის მართებლობა თუმცა ყველაფერს გვპირდებოდა, როგორც მაგალითად: ყაზარმებს, ბინას კომისარიატისათვის, ფულს და სხვ. სხვ., მაგრამ ვერაფერი შეგვისრულა. დიპლომატიური მოლაპარაკება თითქმის ყოველ დღე ხდებოდა, მაგრამ არაკითარი შედეგი მოიტანა. სწორედ ამ დროს „ბოლშევიკებმა" დასცეს ქ. ხარკოვი და ზედ კიევიც მეუმარტეს.

ჩვენი სამხედრო კომისარიატის (სამხედრო სექციის) წარმომადგენელნი უმალ გაეშურნენ „ბოლშევიკების" მთავრობასთან. მათთან ერთად იყო სომხის კომისარი. ჩვენმა დელეგაციამ მოითხოვა 1) ქართველ მოქალაქეთა ხელშეუხლებლობა, 2) იარაღის ტარების უფლება ჩვენ კომისარის ხელის მოწერით, 3) ფული, 4) ბინ კომისარიატისათვის და ჯარის კაცებისათვის, 5) უფლება-მოწმობების დარიგებისა, 6) ტან საცმელი და სხვ., ყველა ამაზე მთავრობა დელეგაციას დაეთანხმა, ხელი სამაგერთ ოთხოვა, რომ ჩვენ ზოგ ერთი სახელმწიფოებრივი დაწესებულებები დავიკავთ. მეორე დღესვე კომ. ჩუდნოვსკიმ („ბოლ.") გასცა შემდეგი ბრძანება: ვინ-იდან ქართველების და სომხების კომისარიატი საბჭოების ჯარის შემადგენლობაში შევიდნენ და იკავენ სხვა და სხვა დაწესებულებებს, ამიტომ იგინი ხელშეუხლებელნი არიან. აი დაახლოებით ამისთანა შინაარსის ბრძანება გამოსცეს. ამის გარდა ჩვენ რეკვიზიციის უფლებაც მოგვცეს, მხოლოდ მათი სანქციით. მშვენიერი ბინა მოვნახეთ ქართულ კომისარიატისათვის, რომელზედაც ავმა თვით ეროვნული დროშა და საერთო ცხოვრების ფერხულში ჩავებით.

გიორგი ნათაძე.

(დასასრული იქნება).

ქართლის დედას

ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა!

ამას ყველა ვგრძნობდით, ყველა ვხედავდით, რომ ოჯახი იყო ბურჯი ჩვენის სამშობლოს და ერის მზეკრძელობისა. და რა ოჯახი? ოჯახი—დედაკაცისა მიერ აშენებული! „მამაკაცისაგან აშენებული ოჯახიო დედაკაცმა დაიქციაო და დედაკაცისა მიერ აშენებულიო ღმერთმაც ვერ დანგრიაო!" ქართველი ერი დიდად აფასებ და დედის ღვაწლსა ამ შემთხვევაში და აღმერთებდა იმას. არა მგონია მთელს დუნიაზე მოიპოვებოდეს რომელიმე ერი, რომელსაც დედაკაცი ისე პატივდებული ჰყავდეს, როგორადაც ქართველ ერსა! აი სწორედ ამ ღირსეულს დედაზედ გამოუთქვამს ღირსეულს შვილს ანდაზად: „დედის ამაგს რა ი—გადაიხდის შვილი? ერმო-კვერცხიც კი რომ მოიფოს ხელის გულზედაო, მაშინაც ვერ გადაიხდისო"!

აი ეს დედები, აი ის რწმენა—რითაც იგი სულდგმულობდა და ის აღზრდა, რომლითაც იგი იზრდებოდა, მოგვიტანა 117 წლის მონებამ და ეს არის თავი და თავი მიზეზი ქართველი ერის დაცემისა, დაკნინებისა, დაქუცმაცებისა და სიტყვად, ცალიერ ლაპარაკად გადაქცევისა!

აი აქ იყო პირველი მიზეზი, რომ რუსები შემოსვლისთანავე უმალ ეცნენ ეკლესიის დანგრევას, აღზრდის წესწყობილების აფეთქვასა და მიწასთან გასწორებას! რუსებს რა ჰქონდათ, ჩვენთვის რა უნდა მოეცათ? ძალიან შემცდარია ის, ვინც ამტკიცებს და ან ამბობს, რომ იმათ მოგვცეს ყოველისფერიო! ან რომელი დიდებული დედები გამოეზარდა რუსეთს, რომ იმის მიხედვით ჩვენშიაც ამოჩენილიყვნენ იმგვარნივე დედანი?

როდესაც იაპონელთა ომში ერთი ამბავი იყო, რომელიც არ ამოიშლება ჩემის გონებიდან. ტოგოს, ოიამას, კუროკის და ნოგის ცოლთ შეატყობინა მთავრობამ რომ თქვენ მეუღლეთ მიქადომ ჯამაგირი მოუმატაო და, გაცნობებთ რა ამასო, შეგიძლიანთო მიიღოთ ეს ზედმეტი ფულიო". ჩვენში

რომ შიმხდარიყო, თავის-მტვრევით გაიქცეოდნენ—ვინ წინა და ვინ უკანა. გარნა იმათ რა პასუხი მისცეს? ჩვენ შადლობას უძღვნითო, მაგ ფულს არ მივიღებთო, ამიტომ, რომ უფრო ესაჭიროება მეომართ ბრძოლის ველზე ვინემ ჩვენნაო და ამიტომ გთხოვთ, რომ იქ მიაწოდოთო". თავიანთი ეკონომიებიც კი დაჰყიდეს და იქიდან შემოსული ფული მეომარ შვილებს მიაწოდეს და ყოველ-ღე ფეხით დადიოდნენ „კორპიოს" საწეწად! აი საბუთი, იმისი თუ რა შედეგი აქვს ეროვნულად შეგნებულ აღზრდას ქალ-ვაჟთათვის და სამშობლოსათვის! აი ჩვენშიაც ასე იყო წინად და იმიტომაც ჰქონდა გასავალი და სახელიც იმ ვაჟკაცობას! ომიდან გამოქცეულს, როგორადაც მოღალატეს ჯერ ოჯახი არ მიიღებდა და არც სამშობლო ერი შეინახავდა; ის სირცხვილი, ის ღალატი კუბოს ფიცრამდის თან მიჰყვებოდა!

აბა ნახეთ და შეუდარეთ ამ ახალ დროს, თუ როგორ ცდილობენ საზოგადოებაში, ოჯახი, თუ კერძო ცხოვრებაში როგორმე ა�ლინონ ომში გაწვეულ! აი ჩვენი შეცდომილება, აი ჩვენი სიბეცე და ზედ-მეტი დამღუპველი ოცნება და ჩვენი ისტორიის უვიცობა! არა ცოდნამ ქართველი ერის ფსიქოლოგია-მისწრაფებისამ ხომ მეხი დაგვცა!

ყალბი აღზრდის წარმოებამ ხომ უმეტესი ზიანი მოგვიტანა ქალ-ვაჟთა დავაჟკაცება—მამულიშვილობაში. ოდონდ კი ვსუქვათ და გავაგონოთ, თორემ ასრულებით ვინ გეკითხება?!

ქართველი კაცი მეომარი უთვალავი მტრის წინაშე იძახდა—სად არის მტერია? როგორც ქორწილში საღხინოდ სიხარულით მიგჩქარებოდა ომში, ახლა კი არიქა მტერი მოვიდაო და გამოორბის უკან, იცის რომ ალერსით შეხვდება დედა, ცოლი და ყველა! ომში მიდის გალეშილი მხედარი ძლივს-და ჰზის ცხენზედ და უტყდება გული! ეს რაღა უბედურება არის?—ასეთი სიძვირე ღვინისა—თუნგი თორმეტი მანეთი, ორი თუმანი, და ამოდენა მთვრალი ხალხი? როცა თუნგი ექვს შაურად, ან 15 კაპ. იყო, მაშინ არ იყო ამოდენა მთვრალი ხალხი! აი რას უნდა ვებრძოლოთ. უნდა ვებრძოლოთ ამ სიძვირეს და ალვირ ალსნილობას, რასაც დღეს ვხედავთ, გირვანქა პური შეიძლება ხუთ მანეთი? აი სად არის უბედურება! ყოველისფერი ბევრია, გარნა ეს ბოროტება კი ვერ მოისპო! თუ კი რუსეთიდან გაიტანეს იმოდენა ოქრო-ვერცხლის ფული განა საქართველოდან კი ვერ გაიტანენ? ცოტა ძვირფასი სამკაული იყო საქართველოს მოსახლე ოჯახებში? საზღვარ-გარეთ გაიტანეს. დიდის სიამოვნებით შევწირავ ერთ გირვანქა ვერცხლს ჩემის მხრივ, მაგრამ იდეიურად რატომ ყველამ არ უნდა განვიზიარეთ და მოვიქეცეთ ეს საქმე? რომ მეცოდინება, რომ სალაროში იქნება და არ გაიტაცებენ, შევეწევი ოთხ-ოთხი თანამდებობა, დიდ-დიდი ჯამაგირები მოვისპოთ, ზედმეტი ს. ეროვნო საბჭოს გადავსცეთ ყველამ.

ვინმე ხუცესი.

უბედური მხარე

მეხსეთ ჯავახეთის ტრაგედია.

იმპერიალისტურ მადა აშლილმა ოსმალეთმა თავისი შავი გულის შავი ზრახვანი სისრულეში მოიყვანა, მსოფლიო ომში გაწბილებულ დამარცხებულმა, საქართველოს მდიდარი მიწა-წყლით აინახლაურა თავისი ზარალი; ჯერ ბათომი გამოგვეცალა ხელიდან—ჩვენი ქვეყნის ლამაზი თვალი—ურომლისოდ საქართველოს საუკეთესო გზა ეხშობოდა კულტურულ ევროპასთან ურთიერთობისა. ოსმალეთმა ეს უდიდესი დანაკლისი არ გვაკმარა და გულიდან მოგვგლეჯა უმაღლესი ნაწილი კუნძულ—მესხეთ-ჯავახეთი, ურომლისოდ საქართველოს ნორმალური ეკონომიური და კულტურული ბრძოლა წარმოუდგენელია. ყოველად შეუძლებელია ბედგრძელ ებრძოდნენ მტერს მესხეთ ჯავახეთის ერთი მუჭა შეებრძოლნი, ათ თავი გასწირეს საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ მათ თავგანწირულებას არ გამოეხმაურა დანარჩენ საქართველო და უნებლიეთ ჩაიგეს ბალაშში მტრის შესამუსრავად ამოწყვეტილი, მაგალ. ის დროს, როდესაც საქართველოს საზღვრებს ოსმალთა ურდოები უახლოვდებოდნენ, როდესაც ჩვენ ლამაზ სამშობლოს ზურმუხტ-ველ-მინდვრებს წალეკვით ემუქრებოდა მტრის ლაშქარი, ამ განწირულების ჟამს ბოლშევიკები, პარტიული ბურუსით გონება-აბნეულნი, შინაური უთანხმოების ცეცხლს ანთებდნენ საქართველოს მრავალ კუთხეში და მით ლუპავდნენ დიდ საქმეს სამშობლოს განთავისუფლებისას. რუსის ბოლშევიკებისაგან გადმოსული ზნეობრივი გახრწნილება ჩვენი ერის ნაწილსაც მოედო. ხალხს დაეკარგა უნარი მსოფლიო ომით შექმნილ ობიექტიურ მდგომარეობის გაგებისა. გარეშე მტრისგან თავდაცვის საჭიროების შეგნება და მამულიშვილური ადფრთოვანება წვრილმანმა ანგარიშებმა ჩაჰკლა.—ჩვენ უკვე მოვიხადეთ ჩვენი ვალი, სამი წელიწადი ვიომეთ მტრებს, ჩვენ ომი აღარა გვსურს, ვინც სახლში არხეინად ისხდნენ წინედ, წავიდნენ და ეომონ ეხლა ოსმალოებსო, ამბობდნენ ნამსახური ჯარის კაცები.—ომი ბურჯუების მოგონილია, ეგენი ჩვენ ზურგზე სუქდებიან და ჩვენ რა ვალი გვაქვს მაგათი გულისთვის მტერს თავი შევაკლათო. ან რა ანგარიშით უნდა წავიდეთ სადღაც ახალციხე-არტაანში საომრად, თუ ოსმალო ჩვენამდი მოვიდა, აქაც გავცემთ პასუხსაო,—ასე მსჯელობდნენ ჩვენი მეომრები, რომელთა გონებაში მთლიან საქართველოს შეგნებას, მამულის სიყვარულს ადგილი არ ჰქონდა. და ზვიადი მტერი კი აკეთებდა თავის საქმეს—ის თან და თან იპყრობდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადგილებს. ვერც მამულიშვილების ყოფნამ სამშობლოს განსაცდელის გამო, ვერც კარზე მომდგარმა საფრთხემ ვერ აგრძნობინა ჩვენ ხალხს ოსმალთა მიერ ჩვენი მიწა-წყალის დაპყრობის სამინელება და აგერ, შედეგი ჩვენი ხალხის ჭკასივობისა ყველასთვის ნათელია—მტერმა წაიღო ის, რის წაღებაც ყოველ შეგნებულ ქართველს და პატრიოტს სასოწარკვეთილებაში აგდებს!

მესხეთი და ჯავახეთი დავკარგეთ... დიდხანს იბრძოლეს გმირებმა, ენით გამოუთქმელ სიმამაცით იკავებდნენ ისინი მოზღვავებულ მტერს დახმარების მოლოდინში—იტანდნენ სიმშილს, წყურვილს, შეკვეწროებას; არ შერჩათ მათ მშობლიური კერა, სარჩო-საბადებელი, მათი კარმიდამო ცეცხლმა შთანთქა, მრავალს ცოლები, დები დასტაცეს და ნამუსი ახადეს; ყოველივე ეს საშინელი უბედურება და დამცირება ვაჟკაცურად გადიტანეს, მომეტებულის რისხვით განემზადნენ ისინი მტრებთან შესაბრძოლებლად, მაგრამ.. ქართველი ერის შეუგნებულობამ და გულგრილობამ მისცა ისინი პირში ოსმალეთის ვეშაპს. ამიერიდან ყოველი მესხის და ჯავახელის გული აღივსება უზომო მღურვით მოძმე ქართველისადმი. და არც მალავენ ღღეს ისინი თავიანთ გულისწყრომას, უზომოდ გამწარებულნი გვეუბნებიან,—თქვენ რომ დროზე მოგვშველებოდთ, აწყვერი აგველოთ, ჩვენი საქმე კარგად წავდოდაო. ახალციხეს მაჰმადიანები ვერას გზით ვერ აიღებდნენ, მართალია ისინი ძალზე მრავალნი იყვნენ, ყოველის მხრით გეიმაგრებოდნენ და საშინელი სურვილი ჰქონდათ ახალციხის აღებისა, მაგრამ ჩვენ თავზარსა ვცემდით მათ და ცხვრის ფარასავით ვფანტავდით. ბოლო დროს ზარბაზნებიც დაგვიშინეს, მაგრამ მალე ჩავაჩუმეთ ისინი.

ჩვენ ხშირად ახალციხიდან გავდიოდით რაზმებით, წავიდოდით იერიშით იქ, სადაც მაჰმადიანებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქართველთა სოფლებისათვის, მაჰმადიანებს მსწრაფლად შევმუსრავდით და ჩვენ ხალხს ვანთავისუფლებდითო. ჩვენ მაჰმადიანებს აქამდის მრავალჯერ ავყრიდით იარაღს, მაგრამ გენ. არ—ჯძე ამის ნებას არ გვაძლევდაო.—ასე გვეუბნებიან ახალციხის ქართველები. ისინი, ვინც მთელს ისტორიულს ცხოვრების განმავლობაში ლარაჯად ედგნენ საქართველოს კარს და მის კეთილდღეობას მსხვერპლად ეწირებოდნენ, რომელთა კარი უპირველესად უნდა გადმოეღებათ ოსმალთა ურდოებს და შემდეგ მთელს საქართველოს შეესევოდნენ, ის ხალხი, რომელიც ყველაზე მეტ უბედურებას, დამცირება-შევიწროებას ეტანდა მტრებისგან—დღეს იმავ მტარვალებს ჩაუყარდა ხელში, ვის წინააღმდეგ ალი გაიფოფრებით და თავგამოდებით იბრძოდა!

არა, ვინება ვერ შეურიგდება ამ უბედურებას, ქართველმა ერმა, თუ ეს თვით-შეგნებული ერია, ყოველის ძალღონით უნდა შეეცადოს მომავალში დაკარგული საუნჯე დაიბრუნოს, ან ერას გვეტყვიან ის გმირები, რომელთაც სისხლი დვარეს საქართველოს ბედნიერებისათვის, რას გვეტყვიან გაუბედურებული ოჯახნი, ნამუს ახდილნი თვალ-ცრემლიანნი ტურფა მესხეთის ასულნი, რას გვეტყვიან აჩრდილნი შოთასი, თორნიკე ერისთავისა, ჩახრუხაძისა და სხვათა, რომელთა აღმხდელი მხარე ასე უდვთოთ ჩავუგდეთ მტრებს ხელში!?. საუდამოთ ვერ დავაობლებთ ამაყსა და დიდებულ ვარძიას, ვერ გამოვეთხოვებით მხარეს, სადაც საფუძველი ჩაიყარა ჩვენი სულიერი და გონებრივი განათლებისა, ვერ დავტოვეთ უნუგეშოდ ურიცხვ ძეგლებს ჩვენი ხუროთმოძღვრებისას, რომელთაა რსებობა და ხილვა ჩვენ სულიერად გვამაღლებს, ვერ მივატოვებთ უპატრონოთ ჩვენს გულადსა და ამაყ ხალხს, ტკბილად მოსაუბრე მესხ-ჯავახელებს—თუ ქართველი ერი მართლა ქართველობს და დღევანდელ უდიდეს უბედურებას ფხიზელი თვალით შეხედავს, უნდა დაიბრუნოს დაკარგული საუნჯე, თუ არ უნდა მის არსებობას მთავარი ბოძი გამოეცალოს.

მესხი გოგია.

ანგარიში

ფინჯანი ჩაის, რომელიც გაიმართა სამტრედიის ქართველ ქალთა ორგანიზაციის მიერ, საქართველოს მეომართა სასარგებლოდ.

ქ. სამტრედიის ქართველ ქალთა ორგანიზაციის გამგეობამ სამი დღით, 2—4 ივნისამდე, ქართველ მეომართა სასარგებლოთ გამართა „ფინჯანი ჩაი" ქალაქის და რკინის გზის საკრებულო დარბაზში.

შემოსავალი:

შეზოსასვლელ ბილეთების	1369	მ.
ბუფეტის	2417	მ. 50 კ.
ყავეილების	661	„ 50
სხვადასხვა გასართობების	457	„ 90
საჯარო ვაჭრობის	1366	„ 35
ლოტარეის	162	„

ფულათ შემოწირულება:

1. კოტე კასრაძემ შემოსწირა	30	მ.
2. ელისო კალანდაძემ	20	მ.
3. კლიმენტი გელეიშვილმა	26	მ.
4. აკაკი კალაძემ	33	მ 40 კ.
კასაში შეტი აღმოჩნდა	12	მ. 61 კ.
სრული შემოსავალი	6556	მ. 26 კ.
გასავალი	1210	მან. 80 კ.

წმიდა დარჩა 5445 მან. 46 კაპ.

რომელიც 8 ივნისს ფოსტის ხარჯების გამოკლებით გაეგზავნა სამხედრო სამინისტროს.

„ფინჯანი ჩაის" გარდა ქალთა ორგანიზაციის წევრებმა შემოსწირეს:

1. სიმონ სპირიდონისძე ქართველიშვილმა 1 გირ. ჩაი.
2. ვალიკო ხარებავამ 300 ფურცელი „ლეტუჩა"
3. დიმიტრი სტეფანიდმა 1 ფუთი ნახშირი.
4. ქ-ნ წერეთლისამ ტკბილეულობა ნაჭარგი ბალიშის პირი, წიგნები და ბევრი სხვა და სხვა ნივთები ლოტარეისათვის
5. ქ-ნი გრინმა ტკბილეულობა.

მწვანე ბაზარზე შეკრიბეთ რამდენიმე გირვანქა ყველი, ხილი და კვერცხი.

სამტრედიის ქართველ ქალთა ორგანიზაციის გამგეობა მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს მას „ფინჯანი ჩაის" მოწყობაში ფულის, ტკბილეულობის თუ ხილის შემოწირულებით, მაგიდების, ეფრენლეულობის ნათხოვრობით თუ ფიზიკური შრომით.

განსაკუთრებულ მადლობის ღირსია ქ-ნი მ. წერეთლისა, რომელიც მთელი სამი დღის განმავლობაში ენერგიულად ეწეოდა შრომას, რათა პირნათლად შეესრულებინა ნაკისრი „ფინჯანი ჩაის" გამგის მოვალეობა. თავის შრომას და უხვს შემოწირულებას ისიც დაუმატა ქ-ნ წერეთლისამ, რომ თავის სურვილისამებრ არ ანაზღაურებულა ზოგიერთი მისი დაკარგული თუ გატეხილი ნივთები.

ქალთა ორგანიზაციის გამგეობა უფრაეს მადლობას უძღვნის აგრეთვე ქ. სამტრედიის საკრებულო დარბაზის მამასახლისთა საბჭოს ერთი დღით დარბაზის განათებით და პროექტორის ლენტის დათმობისათვის; დეპოს უფროსს მისისურეს რკინის გზის საკრებულო დარბაზის სამი დღით განათების უსასყიდლოთ დათმობისათვის და დეპოს მეუსაკეებს პირველს დღეს უფასოთ გუნიკოვის დაკვრისათვის.

დასასრულს ქალთა ორგანიზაციის გამგეობა მადლობას უძღვნის ქ. სამტრედიის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელმაც არ დაიზარა თავის წვლილის გამოღებისა მეომართა სასარგებლოდ.

ქ. სამტრედიის ქართველ ქალთა ინტერპარტიული ორგანიზაციის

გამგეობა.

წერილი რედაქციის მიმართ

ქალთა კრებაზე, რომლის შეკრებაც სურამში არსებულ „მანდილოსნის" თავმჯდომარემ ე. მეიერისამ ითავა, გადასწყდა შემდეგი: მოეწყოს კურსები მოწყალების დების მოსამზადებელი, ადგილობრივ ექიმთა მონაწილეობით რომელნიც, თანახმანი არიან უსასყიდლოდ დახმარებისა.

თვით მე, მსურველს ბრძოლის ველზე საომრად წასვლისა, ავადმყოფობამ იმ ჟამად ხელი შემიშალა, და იმ მოსაზრებით, რომ ვიდრე ერთი ქალი შეეწიროს ოსმალთა ტყვიას, უმჯობესია ყველამ აქედან გაუწიოთ დახმარება სამშობლოს დამცველ მეომრებს. საერთოდ გადავწყვიტეთ შევდგომოდით პურისა და სხვა სანოვაგის მათთვის მიწოდებას, და ეს სისრულეშიც იქმნა მოყვანილი (მიწების დამუშავება დაგვიანდა, თორემ ესეც მოხერხდებოდა) საადგომოთ ადიკო დიდებულიძის ხელით გაეგზავნათ პირველად ნატანებში და მეორედ დვირში მანდილოსანთაგან სოფლად ნამოკრებილი და რამოდენიმე ანდილოსნის ხელითვე გამომცხვარი პურები, წითლად შეღებილი კვერცხი მრავლად, ყველი, წუმწუმა და პაპიროსი. ზოგმა ფულადაც შემოსწირეს, რომელთა სიაც ცალკე იქნება გაზეთში გამოცხადებული. აგრეთვე ისიც, თუ სულ რამდენი ფუთი ფქვილი შეიკრიბა სოფლებში—ალნიშნული მქნება შემომწირველთა სურვილისამებრ, რამა სოფელმა დაეშმარიტებით იცოდეს,—ყოველივეს ნათლად ხედავდეს.—შეპირებულიც ვართ ყოველივე გაზეთში გამოცხადდეს და იმათ წაეკითხოთ.

საზოგადოდ, როცა კი გამომართავს სოფლელებთან საუბარი ქვეყნის ავკარგზე, ან გაზეთი წამიკითხავს მათთვის—საეცხოოდ შეუგნიათ და გულწრფელი მადლობაც შემოუწერავთ. ახოლოლონ თვითონ, რომ უკითხოთ მათ და ვამცნოთ ხოლმე ყოველივე რაც მათთვის გაუგებარია.—ამას კი, ყველა ჩვენგანი უნდა ვცდილობდეთ გავაგებინოთ რაც მათთვის გაზეთებში იწერება—აი, მაშინ არ ჩაივლის უნაყოფოდ სამშობლოსა და კაცობრიობის მოკეთეთა ღვაწლი და შრომა.

ნატ. გიგაური-გ. ბაშვილისა.

გამოცემულია
სამხედრო შეიარაღებისა
აუნუნებული მოვალეთ კომისიტეტისა

დაკარგულ მატარებელში ივნისის 18 ს საფულე ფულით პასპორტი სხვა და სხვა ნოწამობა და უბის წიგნაკი. მპოვნელს ვთხოვ ფული დაიტოვოს და პასპორტი და ქალალდები გამომიგზავნოს სადგური კვთისხევი კვთისხევის საზოგადოება სანდრო ვეფხვაძეს. 656

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მასის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ვ. ფუსხალიშვილი
ავადმყოფთა დღის 12—2 საათ. ფარეულნაურის ქ. № 6.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად **მალარიით** (ცივება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, **ხინინის ნაკლებობით, გულახა, ფილტვისა, ქარებით** და სხვ. **შინაგან სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი **მუხკოვის ქ. № 11.** 426

ექიმი
პავლე არდაზიანი
ფარბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთა, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მდელიანოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

თვალის სამკურნალო
მუდმივი საწოლით
ექიმ დონნინისა
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში, თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. **მიხეილის პრეს. № 141** (ბოლოს კინო-თეატრის მახლობლად), მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი
ბ. ბ. მუხაძე
იღებს საფოსტაკენი ავადმყოფებს დილის 5—8 ს. და ბეჭრი დღეს გარდა. **მისამართი:** ფიდი მთაგორის ქ. № 67, ოფიცერთა საკერძოში. საბჭოდ ... ბის შენობის პირდაპირ, სახლი ... 1030

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ლებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 300

ექიმი
ს. ლ. მარამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. **მისამართი** ბეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. ბაგლოვის ქუჩა, № 7. 1130

მედიცინის დოქტორი
მიუნხენის უნივერსიტეტისა
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ.
შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი.
ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 624

ექიმი
ს. ზ. ვირზოევი
[illegible] 4—6 ს. [illegible] № 2. [illegible] 1009

ექიმი
ბ. ბ. ბერიძეულაძე
ნიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავადმყოფთ [illegible] საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პრეს. ბექტი № 117.

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს **კბილის ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.**
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. **დარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით** 10—12 ს. 327

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს, ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. ავახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
ვ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
ბ. ბ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ბ. გ. ავეტისიანი—9—11 ს. საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ხ ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. ოხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ა. ნავახარდიანი.** 1010

„სახალხო საქმის"
რედაქციის კანტორაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია" მხოლოდ მეორე ტომ.	3	მ
ლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია" წ. I	4	„
გრდემელი წ. I	3	„
ქართველი მწერლები.	2	„
უცხოეთის „	2	„
შიუკაშვილი—„მეგობრობა".	—	60 კ.
ჯანაშვილი—„თაქარ მეფე".	1	„ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო"	—	40 „
ლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი"	—	50 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე".

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას,
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.